ვაკანსია

პოზიციის დასახელება:	დირექტორი
კონკურსის ტიპი:	ღია კონკურსი
ორგანიზაცია:	სსიპ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.
კატეგორია:	ხელმძღვანელი
განცხადების შემოტანის ბოლო ვადა:	3.03.2022
თანამდებობრივი სარგო:	970.00 ლარი (776.00 ლარი გადასახადების გარეშე)
ადგილის რაოდენობა 1	
სამსახურის ადგილმდებარეობა:	თბილისი, ათონელის ქ.#9
სამუშაო ტიპი:	სრული განაკვეთი
ფუნქციები:	იხილეთ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დებულება https://matsne.gov.ge/ka/document/view/2776851
განათლება:	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი
სამუშაო გამოცდილება:	6 წელი

<u>**საკონკურსო თემატიკა:**</u>

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;

- სსიპ-გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დებულება.

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის და გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დებულების შესაბამისად, კანდიდატების არჩევას ახორციელებს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

<u>**საკონტაქტო ინფორმაცია:**</u>

საკონკურსო კომისიის მისამართი, თბილისი, ათონელის ქ.# 9
საკონტაქტო ტელეფონი (+995 32) 2990588
საკონტაქტო პირი - კონკურსის სამდივნოს წევრი ნანა ღარიბაშვილი

<u>**საკონკურსო-საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**</u>

- „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონების მე-10^3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- სამეცნიერო კვლევით სფეროში მუშაობის გამოცდილების 6 წელი;
- კარგად იცნობდეს დარგის სპეციფიკას;
- გააჩნდეს საორგანიზაციო საქმიანობის კარგი უნარი; იყოს ინიციატივიანი და კომუნიკაბელური; ჯგუფური მუშაობის უნარი.
- პრობლემის იდენტიფიცირებისა და სწაფად აღმოფხვრის უნარი.
- შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის უნარი და დროის ეფექტური მართვა.
- გათვალისიწნებული იქნება სამეცნიერო მიღწევები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ადმინისტრაციული მუშაობის გამოცდილება.

<u>**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**</u>

1. კანდიდატის ავტობიოგრაფია (CV);
2. კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კანდიდატის უმაღლესი განათლების და დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

5. 6 წლიანი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა;

6. ცენტრის განვითარების ხედვა; ცენტრის განვითარების კონცეფცია. რომელებშიც, სხვა საკითხებთან ერთად განმარტებული უნდა იყოს თუ როგორ ხედავს კანდიდატი ცენტრის შემდგომი განვითარების გეზს, ცენტრის მეცნიერ

თანამშრომელთა, აგრეთვე სხვა პერსონალის ხელშეწყობას, ეფექტური საქმიანობის შესაძლებლობას და სხვა.

7. 5 წლიანი სამოქმედო გეგმა და სამოქმედო პროგრამა, რომლის შესრულებაზეც კანდიდატი ცენტრის წინაშე იღებს ვალდებულებას.

კონკურსის ეტაპები: I - განაცხადების გადარჩევა, II - გასაუბრება

<u>**დამატებითი ინფორმაცია:**</u>

მოთხოვნილი დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნას სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარმოდგენა). დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი კონკურსის II ეტაპზე არ დაიშვება;

ცენტრი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს კანდიდატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია და უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნული კანდიდატი ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან.

<u>**საბუთების მიღება: 2022 წლის 18 თებერვლიდან - 2022 წლის 3 მარტის ჩათვლით**</u>

კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ სამეცნიერო საბჭო მოაწყობს კანდიდატებთან გასაუბრებას დოკუმენტების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მაქსიმუმ 7 დღის ვადაში.

საკონკურსო განაცხადების მიღება:

საკონკურსო განაცხადები მიიღება როგორც მყარი (მის. თბილისი, ათონელის #9-ში) ასევე ელექტრონული ფორმით ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე g_ch_centre@yahoo.com